

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2023

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გრატო სითი სენტერ

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	7
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	7
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	8
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი	8
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	8
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	8
3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8
3.7. ძირითადი საშუალებები	9
3.8. იჯარა.....	9
3.9. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები.....	9
3.10. მოგების გადასახადი.....	10
3.11. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები.....	10
3.12. საწესდებო კაპიტალი	10
3.13. დივიდენდები.....	10
3.14. შემოსავალი	10
3.15. ხარჯები.....	11
4: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
5: ფული და ფულის ექვივალენტები	11
6: სავაჭრო მოთხოვნები	11
7: ძირითადი საშუალებები	12
8. რისკების მართვა.....	13
8.1. საბაზრო რისკი	13
8.2. ლიკვიდურობის რისკი	13
8.3. საკრედიტო რისკი.....	13
8.4. სავალუტო რისკი	14
9. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	14
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
11. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება.....	14

შპს გრატო სითი სენთერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
ამონაგები		2,265,686	2,179,146
რეალიზაციის თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		2,265,686	2,179,146
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	4	89,332	118,791
მიწოდების და მომსახურების ხარჯები		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		97,263	97,362
საოპერაციო მოგება		2,079,091	1,962,993
ფინანსური შემოსავალი		(273)	(24)
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(273)	(24)
მოგება დაბეგვრამდე		2,079,364	1,963,017
მოგების გადასახადი		(293,271)	(301,588)
წმინდა მოგება		1,786,093	1,661,429
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,786,093	1,661,429

გ. გოჩიჩიძე

დირექტორი
გურამ ტორჩინავა

27 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2023 წელი ლარი	2022 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	981,758	1,079,021
არამატერიალური აქტივები		-	-
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		-	-
		981,758	1,079,021
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	41,748	2,074
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	738,258	540,400
მარაგები		-	-
		780,006	542,474
მთლიანი აქტივები		1,761,764	1,621,495
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		1,620,205	1,620,205
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,750,577)	(1,750,137)
მიმდინარე მოგება		1,786,093	1,661,429
		1,655,721	1,531,497
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,668	3,964
საგადასახადო ვალდებულებები		104,375	86,034
		106,043	89,998
მთლიანი ვალდებულებები		106,043	89,998
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,761,764	1,621,495

გ. ჭიჭინაძე

დირექტორი
გურამ ტორჩინაძე

27 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გრატო სიტი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	(41,137)	1,579,068
მოგება წლის ბოლოს		1,963,017	1,963,017
გაცემული დივიდენდი		(2,010,588)	(2,010,588)
კაპიტალის შევსება	-----		-----
კაპიტალის ამოღება	-----		-----
2022 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	(88,708)	1,531,497
მოგება წლის ბოლოს		2,079,364	2,079,364
გაცემული დივიდენდი		(1,955,139)	(1,955,139)
კაპიტალის შევსება	-----		-----
კაპიტალის ამოღება	-----		-----
2023 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	35,516	1,655,721



გ. ცხიშვილი

დირექტორი
 გურამ ტორჩინავა

27 სექტემბერი, 2024 წელი
 თბილისი, საქართველო

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წელი	2022 წელი
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 596 320	2 502 392
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	273	-----
თანხის დაბრუნება მყიდველთან	(119 487)	-----
მიღებული ფულადი სახსრები	2 477 106	2 502 392
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(30 060)	(15 211)
ბიუჯეტის გადახდა	(783 669)	(823 847)
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	(1 182)	-----
ხელფასის გადახდა	(43 080)	(38 640)
გადახდილი ფულადი სახსრები	(857 991)	(877 698)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 619 115	1 624 694
საბანკო ხარჯი	(666)	(1 029)
კურსთაშორის სხვაობა	-----	-----
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(666)	(1 029)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-----	-----
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-----	-----
გაცემული დივიდენდები	(1 578 775)	(1 623 550)
მიღებული სესხები	-----	-----
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 578 775)	(1 623 550)
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	39 674	115
ფული წლის დასაწყისში	2 074	1 969
ფული წლის ბოლოს	41 748	2 074

გ. ცხიშვილი

დირექტორი
გურამ ტორჩინავა

27 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო



შპს გრატო სიტი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გრატო სიტი სენტერ (209439213) („კომპანია“) დაარსდა 1998 წლის 6 ნოემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

- გურამ ტორჩინავა (01108068362) 70%-იანი წილით.
- ზაზა ზარნაბიშვილი (01009004517) 30%-იანი წილით.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს - გურამ ტორჩინავას (01108068362). კომპანიის საქმიანობის ძირითად ბიზნეს მიმართულებას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება საოპერაციო იჯარით;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, №1ბ;
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 02/06/2008 წლიდან.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში მის დარეზერვებას.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

3.7. ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებულ ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული	7

3.8. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლის.

3.9. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები, პრემიები და არაფულადი სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება და სხვა) აღირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შესაბამისი სერვისის მიღება მოხდება თანამშრომლების მიერ.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.10. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

3.11. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდების შესაბამისად. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი.

3.13. დივიდენდები

კომპანია აღიარებს დამფუძნებლების წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობის თანხა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლად მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.14. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია როგორც პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებითა და ფასდათმობით.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.15. ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

4: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	2023 ლარი	2022 ლარი
შრომის ანაზღაურება	53 850	48 300
კომუნალური ხარჯი	14 721	9 922
მომსახურების ხარჯები	6 982	27 367
საპენსიო ფონდის ხარჯი	2,198	2,813
ბანკის საკომისიო ხარჯი	666	1 029
სხვა ხარჯი	10 915	29 360
სულ	89 332	118 791

5: ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	2023 ლარი	2022 ლარი
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	41 748	2 074
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-	-
სულ	41 748	2 074

6: სავაჭრო მოთხოვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს:

	2023 ლარი	2022 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (იჯარა)	735 408	538 954
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (კომუნალური ხარჯის კომპენსაცია)	1 668	1 446
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	1 182	-
სულ	738 258	540 400

შპს გრატო სითი სენთერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

7: ძირითადი საშუალებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება				
ბალანსი 31.12.2022	1,366	1,922, 671	6,143	1,930, 180
დანამატები	-	-	-	-
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	1,366	1,922, 671	6,143	1,930, 180
აკუმულირებული ცვეთა				
ბალანსი 31.12.2022	-	(847,205)	(3,954)	(851,159)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(96,134)	(1,130)	(97,263)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	-	(943,339)	(5,084)	(948, 422)
წმინდა ღირებულება				
ბალანსი 31.12.2022	1,366	1,075 466	2,189	1,079, 021
ბალანსი 31.12.2023	1,366	979 332	1,059	981, 758

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

8. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

8.1. საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

8.2. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს იმის რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

8.3. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

8.4. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე, რომლებიც სისტემატურ მონიტორინგს ექვემდებარება. მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

9. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

„საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

2024 წლის 01 აგვისტოს კომპანიის პარტნიორებს შორის მოხდა 10%-იანი წილის დათმობა, კერძოდ, ფიზიკურმა პირმა გურამ ტორჩინავამ (პ/ნ 01108068362) ზაზა ბარნაბიშვილს (პ/ნ 01009004517) მიჰყიდა კომპანიის 10 % წილი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა.

11. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.